დანართი 2.

თსუ მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის
სამეურნეო განყოფილების ადმინისტრსტორის
შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

წესის მიზანია სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის სამეურნეო განყოფილების ადმინისტრატორის შერჩევა.

მუხლი 2. საკონკურსო კომისიის ფუნქციები

საკონკურსო კომისიის ფუნქციებში შედის:

ა) საკონკურსო წესით სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის სამეურნეო განყოფილების ადმინისტრსტორის კანდიდატის შერჩევა.

ბ) კომისიას მუშაობისას, საჭიროების შემთხვევაში კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებლად, შეუძლია შესაბამისი დარგის ექსპერტი/ექსპერტების მოწვევა.

მუხლი 3. კონკურსანტის შეფასების წესი

1. კომისია კონკურსანტს დაუსწრებლად აფასებს მის მონაცემების შესაბამისობას უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის სამეურნეო განყოფილების ადმინისტრატორის მოთხოვნებთან. აპლიკანტები, რომელთა მიერ წარმოდგენილი საბუთებიც დააკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს, წინასწარი შეტყობინების საფუძველზე შესარჩევ კომისიასთან გაივლიან გასაუბრებას.

2. აპლიკანტის მიერ გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა წარმოადგენს აპლიკანტის კონკურსიდან მოხსნის საფუძველს.

3. საკონკურსო პროცედურების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია აფასებს კონკურსის შედეგებს და იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ. გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს წარმოდგენილ საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასებას და გასაუბრების შედეგებს, რაც აისახება საკონკურსო კომისიის ოქმში/ ოქმებში.

4. შერჩევის ეტაპების განხორციელების შემდგომ ტარდება კენჭისყრა და ადმინისტრატორის პოზიციაზე შეჩეულად ითვლება, ის აპლიკანტი, რომელიც მიიღებს

სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის/სხდომის თავმჯდომარის ხმა.

5. კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით, რომლის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება;

მუხლი 4. დავების გადაწყვეტა

კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.